პარასკევი, 30 აპრილი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 პარასკევი, 30 აპრილი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 102 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 102

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ამა აპრილის 27 გარდაიცვალა სოფ. ქვემო-ჭალაში მღვ. გრიგოლ კარბელაშვილის

## ქვრივი ანნა სტეფანეს ასული,

რასაც მწუხარებით აუწყებენ მცნობთა და ნათესავთა მიცვალებულის შვილები, რძლები და შვილისშვილები. დაასაფლავებენ ხვალ 1 მაისს. (1—1).

## რედაქციისაგან.

**პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“**

**ჰღირს 7 მან. 25 კ.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. 50 კ. და ქალაქ გარედ 4 მან. 50 კ.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენი 1 მაისამდე, რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოთ.

**გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი**

## ჯგუფი ქართველთ მწერლებისა

(მესამე გამოცემა).

**ტარ. მომცემლიძისა.**

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момпелидзе. (წლ.).

## ახალი წიგნი

ს. ს. მელიქ-ადამო[illegible]ი

ნაფიცი ვექილი

## პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

## ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

**для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.**

**ფასი 1 მან.**

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

ს.-პეტერბურგის კომპანია

## „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ[illegible]ი, გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** . . . . | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** . . . . | 2.664.808 მან. |

**დაზღვევის ოპერაციები.**

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში. მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433 (50—6.—30)

მთავრობის მიერ დაარსებული ქუთაისის ქალთა პროგიმნაზია.

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენიები პროგიმნაზიის ახლად გახსნილ 2 კლასში დაიწყება 18 მაისიდგან, მოსამზადებელ და პირველ კლასებში 21 მაისიდგან. დაწვრილებით ცნობები ეგზამენების შესახებ შეუძლიანთ მსურველთ შეიტყონ პროგიმნაზიაში, მესხეთის ქუჩაზედ, ტყეშელაშვილის სახლებში. (3—6—1).

გორის მაზრის თავად-აზნაურთა ქალთა კომიტეტი, კნ. ა. ა. ამილახორის თავმჯდომარეობით, ქ. გორში ჰმართავს კვირას, 2 მაისს, შორეულ აღმოსავლეთში მებრძოლ, ავადმყოფ-დაჭრილთა შემწეობის აღმოჩენის აზრით, ლიტერატურულ-დრამატიულ საღამოს საკონცერტო განყოფილებით:

1) ლექცია გენერალ-მაიორის [illegible] ტოსი,

2) «მე მახსოვს მშვენიერი წუთი». ვოდ. 1 მოქ. კ. პ. ლარინისა,

3) „ნიშნობა კატორგის ნავთ-საყუდელზედ». ვოდ. 1 მოქ. ვ. რ. შჩუროვისა.

4) საკონცერტო განყოფილება

დაწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

გამგე კნ. ა. ა. ამილახორისა.

(4—უ—1)

[illegible]

კრებულოს“

## საზაფხულო ბაღში

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

## სეირნობა

**საქველ-მოქმედო ბაზრითურთ**

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა დ ცოცხალი სურათები. დასასრულ

## ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—17)

## იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში.

(10—6—9)

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

**ქართველნი მკურნალნი:**

**ბედევანიშვილი მიხეილ**,—ყორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**ბაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, ელისაბედის ქუჩა, № 41.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. ბედევანი[illegible]შვილისა**

[illegible] ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ა. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა [illegible] და ელექტროთერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი მ. ქ. **იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. მ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინ განი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შ ნაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-თერაპია

**ზ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## ომის ამბები

**დეპეშები [illegible] და წერილები.**

—

იაპონელები მანჯურიაში. რუსის ჯარი მანჯურიაში. წვრილი ცნობები.

გენერალ კუროკის გამარჯვებით მდინარე იალუზე საჩქაროდ ისარგებლა მარშალ-ნოძუმ და სამის დღის შემდეგ მეორე ლაშქარიც, გენერალ ოკუს სარდლობით, ბიძივოსთან გადაიყვანა, რაც ღირს-შესანიშნავ სტრატეგიულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ომის დაწყების დღიდგან,—ამბობს «რუს. ვედ-ტი». ჯარის მოძრაობას ხმელეთზე აქამომდე მხოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ კორეა მკვიდრად დაეჭირა იაპონიას. ეს კარგად იცოდა ჩვენმა მთავარ-შტაბმაც, რადგან 27 იანვრის ამბავს სწორედ ამნაირი შედეგი [illegible] ლიად სხვა მნიშვნელობა აქვს მანჯურიას, რომელსაც იაპონელთა ჯარი კორეადგან მოაწვა. მანჯურიის ნებაყოფლობით დათმობა ჩვენ არ შეგვეძლო, თუმცა ბევრად უფრო სასარგებლო იქმნებოდა ჩვენი ჯარი ხარბინისკენ დაგვეწია, მანამდე-კი მტერს არ შევბრძოლებოდით და მხოლოდ ჩვენის ძლიერის კავალერიით მტერი შეგვეწუხებინა გზაზე და შეგვეფერხებინა. ამით ჩვენს ჯარს უვნებლად და უნაკლულოდ შევინახამდით შემოდგომამდე, ვიდრე დახმარებას არ გავუგზავნიდით აქედ-იქიდგან. მაშინ-კი ჩვენი ჯარი ერთბაშად დაიძროდა სამხრეთისაკენ და სულ გამარჯვებით გაიკვლევდა გზას, ამასთანავე იაპონელებს ზღვას დავაშორებდით და ხმელეთზე შემოვიტყუილებდით, სადაც თავისი ჯარი ძალაუნებურად უნდა გაეშალა და გაემწკრივებინა...

ეხლანდელი საქმეთა ვითარება-კი გვაიძულებს მოგერებას დავსჯერდეთ უხერხულს არე-მარეში იმ დროს, როდესაც ჯერ ჩვენი ჯარი სრულად არ შეგროვილა. იმის უმთავრესი მიზეზი, თუ რატომ არ შეგვიძლიან ეხლაც მივატოვოთ მანჯურიის სამხრეთი ნაწილი, ის არის, რომ ჩვენი ფლოტი პორტ-არტურშია მომწყვდეული და ყვითელ ზღვას ვერ გასცილდება, რადგან ორჯერ უფრო ძლიერი ფლოტი დარაჯად უდგია. პორტ-არტურის ესკადრის ბედ-იღბალზედ არის აგრეთვე დამოკიდებული ჩვენი მომავალი მდგომარეობისა შორეულ-აღმოსავლეთის ზღვებზე: იაპონიის ფლოტის დამარცხება მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან, როდესაც ვიცე ადმირალ ბეზობრაზოვის ფლოტი უზიანოდ დარჩება ბალტიის ზღვის ესკადრის მისვლამდე, კონტრ-ადმირალ როჟდესტვენსკის უფროსობით.

მართალია, შესაძლოა მანჯურიის სამხრეთის ნაწილი დავცალოთ ძინ-ჯოუმდე, რომელიც მუკდენის ჩრდილოეთად არის, და პორტ-არტური დავტოვოთ შემოდგომამდე, რომ იქაურმა მეციხოვნეებმა და ფლოტმა თითონ მოიგერონ მტერი. მაგრამ ეს ამ ჟამად უფრო ძნელია, ვიდრე სევასტოპოლის ციხის დაცვა ყირიმის

ომის დროს; სევასტოპოლს მტერი სამს მხარეს ერტყა და რუსეთთან ერთობა არ შეწყვეტილა; კვანტუნი-კი შესაძლოა სრულიად ჩამოიჭრას. ეხლანდელი იარაღიც ვერ შეედრება წინანდელ იარაღს. გერმანელები ამტკიცებენ, რომ ეხლანდელ არტილერიას ვერა ციხე ვერ გაუმაგრდებაო. ამისათვის, უფრო საფიქრებელია, რომ გენერალი კუროპატკინი დაუყოვნებლივ გაემართება პორტ-არტურის დასახსნელად, როგორც-კი საჭირო ძალას მოიპოვებს.

მანჯურიის სამხრეთ-ნაწილის მიტოვება ხელს აგვაღებინებდა რკინის გზაზედ, რომელშიაც ჩაყრილია არა ასი და ორასი მილიონი მანათი და ამასთანავე რკინიგზის გაფუჭება ბევრად შეგვაფერხებდა მომავალში, როდესაც ჩვენი ჯარი გაიმარჯვებს მტრის გასაძევებლად. რკინის გზის დათმობას პოლიტიკური შედეგიც ექმნებოდა: ჩინეთი დაეპატრონებოდა ჩვენგან მიტოვებულ მხარეს, როგორც თავის საკუთრებას და სამეფო დინასტიის სამშობლოს.

სწორედ მანჯურიის სამხრეთის ნაწილის გამო შეებრძოლებიან ერთმანერთს გენერალი კუროპატკინი და მარშალი ნოძუ; მედგარს ომში რუსის ჯარი კვალად თავის ძლიერებას გამოიჩენს და კადნიერს მტერს სასტიკად დასჯის...

გაზეთი «ტაიმსი» ამბობს, მანჯურიაში რუსებს 500,000 ჯარის კაცი-კი არა ჰყავთ, არამედ ორჯერ ნაკლებიო, ე. ი. 250,000 კაცი. პორტ-არტურში უნდა იყოს 30,000 და ამდონივე ვლადივოსტოკში; რკინის გზას დარაჯად სჭირდება 30,000 კაცი და დაბა ქალაქებშიც გაფანტულია 20,000 კაცი. 10% უნდა მოვაკლოთ, რადგან ზოგი ავადმყოფია და ზოგიც სხვა ნაირად არის დაბანდებული. მაშასადამე, 150,000 ჯარის კაცი საომრად ვერ მოიცლის და გენერალ კუროპატკინს რჩება მხოლოდ 135,000 კაცი. რადგან ყოველ დღე ჯარი მატულობს, შესაძლოა, რომ ამ თვის გასვლამდე 150,000 კაცი შეგროვდესო. მომატება შეუძლებელი-ღაა, რადგან სალდათების გადაყვანა კი არ არის ძნელი, საქმე სურსათის შოვნააო. ამიტომ რუსებს არ შეუძლიანთ სალაშქროდ 150,000 კაცი გაგზავნონო. გინირაო კურო[illegible] 40—50 ათასი კაცი), ამ გვარად იქმნება დაბანაკებული: პირველი კორპუსი—ნანგუთს, ნიკოლსკსა და ვლადივოსტოკში; მეორე და მესამე კორპუსები—მუკდენსა და იალუს შუაც და მეოთხე ეხლახან შეგროვილი კორპუსი—ხარბინთან. ჯარის ამ გვარად დანაწილება უნდა იყოს მიზეზი, რომ თვით გენერალმა კუროპატკინმა არ გაილაშქრა მტერზე. ბოლოს დროს იწერებოდნენ, ირკუტსკშიაც სათადარიგო ჯარი გროვდებაო, მაგრამ ეს ჯარი მეომართ ვერ დაეხმარება და სურსათის შოვნას კი უფრო გააძნელებსო (პ. ვ.)

—

ერთს რუსის აფიცერს, რომელიც პორტ-არტურიდგან ხარბინს მისულა, შემდეგი ამბავი გადაუცია გაზეთ «მატენის» კორესპონდენტისათვის: ერთს იაპონელთა ნაღმოსანს რუსების ნაღმოსნები შემოერტყნენ და დააზიანეს. რადგან ამ დროს იაპონელების ფლოტი მოახლოვდა, რუსების ნაღმოსნები შინისკენ გამოეშურნენ, იაპონიის ნაღმოსანი კი იღუპებოდა. მეზღვაურებს შეეძლოთ თავისი თავი და დროშა გადაერჩინათ, მაგრამ არ ინდომეს. სწორედ იმ დროს, როდესაც ნაღმოსანსა სძირავდა და წყალ ზევით ოდნავ-ღა სჩანდა, უფროსი მეზღვაური კიბეზედ გაჩერდა, ამოიღო სიგარა და მოუკიდა. ნაღმოსანი დაიძირა და მხიარულად მომღერალი მეზღვაური თან ჩაიტანა. ამისთანა ხალხს,—ამბობს კორესპონდენტი,—ომში სიკვდილი წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ, რადგან ჰგონიათ, რომ ღმერთს მსხვერპლად სწირავენ თავსაო (რ. ვ.)

—

იაპონიის სამხედრო სამინისტროში განსაკუთრებული დეპარტამენტი დაარსდა, რომელსაც «ტყვეთა დეპარტამენტი» ეწოდება. ამ დეპარტამენტის დავთრებში იწერება ტყვეთა ვინაობა, სახელი, გვარი, ჩინი, ჩამომავლობა, წლოვანება და ცნობები მათის ჯანმრთელობის შესახებ. თუ რომ ტყვეთა მშობელ-ნათესავებმა მოითხოვეს ცნობები, დეპარტამენტი დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს. ფულსა და გაგზავნილ ნივთებს დანიშნულებისამებრ აბარებს; თუ რომ ომში მოკლულს ისეთი ნივთები აღმოაჩნდა, რომლებსაც მის ნათესავებისათვის რამე მნიშვნელობა აქვს, უთუოდ აღნუსხავს და შეინახავს, რომ მოთხოვნილებისამებრ გაუგზავნოს მემკვიდრეებს. (იქვე).

—

კრონშტადტში ეხლა ხან ერთმა ამბავმა ალიაქოთი ასტეხა და კინაღამ დიდი უბედურება არ დაატრიალა. საღურგლო სამუშაოებთან დიდ ძალი ნაფოტი და ბურბუშელა ყოფილა მოგროვილი. სწორედ ამ ადგილს ცეცხლი გაჩენილა. კარგი რომ სალდათებს დროზე შეუნიშნავთ, მიცვივნულან და ცეცხლი ჩაუქრიათ. ნაფოტებს ნავთი ჰქონია დასხმული, რაც [illegible] საწყობები არის, სადაც ასაფეთქებელი ნივთიერება ბლომად ინახება. ცეცხლი რომ ამ საწყობებს მისდებოდა, წარმოუდგენელი საშინელება მოხდებოდა, და კრონშტადტის ადგილს მისი ნიშანიც კი აღარ დარჩებოდაო. (მ. ვ.).

—

კრონშტადტის პორტის უფროსმა ვიცე-ადმირალმა ბორიულოვმა განკარგულება მოახდინა, რომ მინებისა და საარტილერიო ყუმბარების ლაბორატორიებში მხოლოდ სამხედრო კაცებმა იმსახურონ და აქომამდე ნებაყოფლობით მსახურნი დათხოვნილ იქმნან. ამის გარდა ჟანდარმებსაც დააყენებენ სადარაჯოდ. («კრ. ვესტ.»).

—

ფლოტის გასაძლიერებლად დაარსებულ კომიტეტს 7 თებერვლიდგან 14 აპრილამდე შეწირულობა მიუღია ნაღდად 4,997,718 მან. $42^1/_2$ კ. და სარგებლიანის ბილეთებით 119,450 მან., სულ 5,117,168 მან. $42^1/_2$ კ. დახარჯულა 2,235,131 მან. 66 კ., რომელთაგან 246,900 მან. შემომწირველთ დაუბრუნდათ. დირჩა კასაში 2,882,035 მან. $76^1/_1$ კ. (რ. ვ.)

# ტფილისი

—

*** ამ დღეებში კრება ექნება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას. 27 აპრილისათვის დანიშნული კრება არ შესდგა, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

*** 5 მაისს კრება ექნება კავკასიის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებას. კრება, სხვათა შორის, მოისმენს ბ-ნ პოდოზერსკის მოხსენებას „თუშების ოდქი“.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობაში აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქის ბაღები ღამით კარგად იყვნენ განათებულნი. აპირებენ, ყველა პატარა ბაღში თითო დიდი ფანრის დადგმას.

*** წელს ტფილისის საკომერციო სასწავლებლის უფროს კლასებში მოსწავლეთ არ მიიღებენ, რადგან თავისუფალი ადგილი არ არის. მიიღებენ მხოლოდ ორს მოსამზადებელ კლასებში 40 ბავშვს.

*** მტკვარმა გუშინ კარგა მოიკლო. წყალს ორთავალა ძალიან დაუზარალებია.

*** ბორჩალოს მაზრის უფროსმა სთხოვა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს, სოფ. ბელაქანში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება დაარსეთ და ასეთი პასუხი მიიღო: ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო ამ თხოვნას იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს, თუ ფოსტის განყოფილებისათვის სადგომს სოფლის საზოგადოება მისცემს და ამასთანავე ცოტა ფულსაც გამოიღებს სადგომის მოსაწყობადო.

*** ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ მისწერა ტფილისის მაზრის უფროსს, ცნობანი წარმოადგინე იმის შესახებ, თუ ტფილისის მაზრაში სადმე კალიის თესლიანი ადგილ-მდებარეობა არისო. გვაცნობე ისიც, კალიის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღებას რა ხარჯი დასჭირდებაო.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, არტილერიის მოედანზე, ვოკზალთან ახლო, პატარა ბაღი გააშენოს. საქმეს ჯერ-ჯერობით ის აბრკოლებს, რომ ეს მოედანი სადავოა ქალაქსა და სამხედრო უწყებას შორის.

*** რამდენსამე კაცს განუზრახავს ტფილისში დააარსოს „მცხოვრებთა განათლებისათვის მზრუნველი საზოგადოება“, რომელმაც უნდა დააარსოს სკოლები, ბიბლიოთეკები და ჰმართოს სახალხო წარმოდგენები და სხვა სასარგებლო გასართობნი. წესდების პროექტი შეუდგენიათ და დასამტკიცებლად გაუგზავნიათ საერო განათლების სამინისტროში, რომელსაც პროექტი არ დაუმტკიცებია. სამინისტროს აზრით, საჭიროა პროექტის ერთი მუხლი შეიცვალოს...

*** ტფილისში უნდა დაიდგას ძეგლი დიდის მთავრინას ოლგა თეოდორის ასულისა. ტფილისის ქალაქის საბჭომ ძეგლის ასაგებად 2,000 მანეთი გადასდო. დანარჩენი ფული უნდა შეიკრიბოს ხელის მოწერით. ხელის-მოწერა ამ დღეებში გაიმართება ტფილისის ქალაქის თვით-მართველობასთან.

*** დამატებით კიდევ 130.000 მანეთი გადაუდვია მთავრობას რუსეთიდან კავკასიაში რუსთა გადმოსახლების საქმის მოსაწყობად.

*** ქალაქის გამგეობამ 551 მანეთი გადასდო ტფილისის ქალაქის ლომბარდის შენობის გასაფართოვებლად.

*** წელს ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მხოლოდ მოსამზადებელ განყოფილებასა და პირველ კლასში მიიღებენ მოსწავლეთ. ვისაც ამ გიმნაზიაში შესვლა უნდა, თხოვნა 10 მაისამდე უნდა მისცეს.

*** ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის ახალ შენობას დღეს, 12 საათზე აკურთხებენ.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ამ დღეებში კახეთში გაჰგზავნის გოგირდსა და შაბიამანს.

*** გუშინ, 29 აპრილს, ქალაქის გამგეობამ გამოუცხადა ალექსანდრეს ბაღთან ქალაქის სახლის მდგმურთ, შენობა დასცალეთ ათ მაისამდე, რადგან ბიბლიოთეკისთვის უნდა შევაკეთოთო. ამ შენობაში სხვა-და-სხვა კაცნი ვაჭრობდნენ წიგნებით. შენობის მოსაწყობად მათ ფული დახარჯვიათ, ამიტომ განუზრახავთ, ხაჩივარი შეიტანონ ქალაქის გამგეობაზე. ისინი ითხოვენ, ზარალი გვიზღეთო.

[illegible]

ფოთლის მოკრეფა

ფოთოლის ჭმევა პირველ დღეს.

—

მუშაობა საყაჭეში მეორე დღეს.

მეორე დღეს და საზოგადოდ ყოველ დღეს საყაჭეში ჩვეულებრივი მუშაობა უნდა დაიწყოთ, რაც შეიძლება ადრე, თუ შესაძლებელია გათენებამდისინაც. 1) გააღებთ თუ არა საყაჭის კარს, პირველად ნახეთ ჭიებთან ახლო ჩამოკიდებული ტერმომეტრი. სითბო საყაჭეში არ უნდა იქნეს ჩვიდმეტ გრადუსზედ ნაკლები რეომიურის ტერმომეტრითა. თუ ნაკლები სითბოა—გაათბეთ საყაჭე. დილას სითბო ჩვიდმეტ-თვრამეტ გრადუსსზედ მეტი იშვიათათ იქნება. 2) თუ საღამოს მოკრეფილი ფოთოლი გაქვთ, დილისთვის ის უნდა დაჭრათ ისე წვრილათ, როგორც გუშინ სჭრიდით; თუ ფოთოლი არ არის წინა დღით მომზადებული, ჩქარა მოკრიფეთ, თუ სოველია წვიმის წყლით ან ცვარით, უსათუოთ გააშრეთ და დასჭერით. ფოთოლი უნდა დასჭრათ ყოველთვის გრძლათ, ლენტებათ, როგორც თუთუნს სჭრიან. 3) ჭიას დააფარეთ სწორათ ასაკრეფი—მარლა, ლეჩაქის ნაჭერი, თუ სხვა, რაც გაქვთ, წვრილ თვალა ასაკრეფი, გამოჭრილი ოთხ კუთხათ. თუ საღამოს ფოთოლი სწორათ იყო ჭიებზედ დაყრილი, ასაკრეფი სწორედ მიეკროება ჭიებს, თუ არა და დაეფინება უსწორმასწოროთ, რაიცა ხელს შეუშლის ყველა ჭიების ასვლას ასაკრეფზედ: ზოგი ჭიები ასაკრეფის ქვეით დარჩება და ხელით აყვანა დაგჭირდებათ, რაიცა აგრძელებს საქმეს. დააფენთ თუ არა ასაკრეფს, იმაზე სწორათ და თხლათ დაჰყარეთ ყოველგან დაჭრილი ფოთოლი. ერთ-ორ საათში ყველა ჭიები გადავლენ ასაკრეფზედ და დაეხვევიან დაყრილ ფოთოლს: როდესაც ამას შეამჩნევთ, ნელა ასწიეთ ორივე ხელებით ჭიებიანი ასაკრეფი; აწევის დროს ხელები უნდა მოჰკიდოთ ასაკრეფის პირდაპირ მყოფ კუთხეებს ა და გ, ან ბ და დ-ს, ასაკრეფი




არ უნდა გაჭიმო თორემ ის გადიდუნება და ჭიები დაიყრება ნაგავზედ, საწოლზედ, რომელიც შეგროვდა წინა დღით. აღებული ასაკრეფი დადევით დროებით სადმე წმინდა ადგილას; წინადღით შეგროვილი საწოლი, საიდგანაც გადაიყვანეთ ეხლა ჭიები, გადაათვალიერეთ, ხომ არ დარჩენილა გვერდებზედ ან სხვაგან ჭიები. თუ შეამჩნიეთ რამოდენიმე დარჩენილი, გამოიკვლიეთ მიზეზი დარჩენისა. ჭიები, შეიძლება, ასაკრეფზედ არ ავიდეს ამ მიზეზისაგამო: ა) ან იმისთვის, რომ, შესაძლებელია, ნაგავი, «საწოლი», სადაც ჭია ზის, ჩარღმავებულია და ვერ დასწვდა მას ასაკრეფი, ჩარღმავებულიდგან ჭია თითონ არ ავიდა ასაკრეფზედ. ეს მოვლენა ძალიან ხშირია ჩვენს საყაჭეში. ბ) ძალიან ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ზოგიერთი ფოთოლი (დაჭრილი), სიდიდით დიდად ნაკლებია ასაკრეფის თვალზე, ასაკრეფის თვალში გავა და დაცვინდება ნაგავზე, სადაც ჭია ზის. იქ ჭია გამოძღება და მერმე ზევით აღარ ავა. გ) შეიძლება ჭიამ თავი ამაყო ასაკრეფის ხვრელიდგან, გამოძღა ფოთოლით და ზედ არ ავიდა. დ) არ ადის ასაკრეფზედ სუსტი ჭია, ან ის ჭიები, რომლებიც წინადღის დაყრილ ფოთოლ ქვეით დარჩნენ ისიც სუსტი, თუ ფოთოლი სქლათ არ არის დაყრილი. უკანასკნელ შემთხვევაში ამისთანა ჭიები უყურადღებოთ უნდა დასტოვოთ, დანარჩენი-კი აიყვანოთ და დასვათ სხვა ამხანაგებთან. როდესაც ჭიები სულ გადაყვანილია ასაკრეფზედ, ნაგავია-

# ფელეტონი

—

## ორი მინდორი.

(ინდოელთა ლეგენდა გ. სენკევიჩისა).

ორს თვალ-უწვდენელს ქვეყანას ჰყოფდა ანკარა ნაკადული. ერთ ადგილას ნაკადულს გაეკეთებინა ფონი, სადაც ყვაოდა ფერად-ფერადი ყვავილები. ყვავილებს ელამუნებოდნენ სხვა-და-სხვა მწერნი; წყლის ნაპირს ამოსულს ბზის ხეებს ტკბილად დამღეროდნენ სხვა-და-სხვა ფრინველნი. ეს ადგილი იყო კარი, საიდანაც გადიოდნენ ერთის ქვეყნიდგან მეორეში.

ერთ ქვეყანას ერქვა მინდორი სიცოცხლისა, მეორეს კი—სიკვდილისა. ორივე შექმნა დიდებულმა ბრამამ და ჩააბარა: მინდორი სიცოცხლისა კეთილს ვიშნას, მინდორი სიკვდილისა-კი ბრძენს სივას და დაავალა, მოევლოთ ამ ორის ქვეყნისთვის ისე, როგორც თვითონ მიაჩნდათ საუკეთესოდ.

ვიშნას ქვეყანაში გაჩაღდა სიცოცხლე: ამოდიოდა და ჩადიოდა მზე, გაჩნდა დღე და ღამე, სიღრმე წყალთა; გამოჩნდნენ ღრუბელნი; გაშენდა ტყე; გაჩნდნენ ხალხი, მხეცნი და ფრინველნი. ყველა სულდგმული რომ გამრავლებულიყო, ბრამამ გააჩინა სიყვარული, რომელიც შეადგენდა კაცის ბედნიერებას. ბრამამ უბრძანა ვიშნას, შენს დაუხმარებლად იცხოვროს ხალხმა, რადგანაც ცხოვრების მასალა ყველა ხელთ აქვსო. ხალხმა დაიწყო თავის თავისთვის ზრუნვა. კეთილის ფიქრებისაგან ებადებოდათ სიხარული, ბოროტისაგან-კი მწუხარება; ამასთანავე უკვირდათ, რომ სიცოცხლე არ წარმოადგენს მუდმივ სიხარულს. წარსდგნენ ვიშნას წინაშე და მოახსენეს: «უფალო, აუტანელი არს ჩვენი სიცოცხლე მწუხარებაში». ვიშნამ უპასუხა: «ინუგეშეთ სიყვარულით.» ეს რომ გაიგონა ხალხმა, დაბრუნდა გახარებული და დამშვიდებული, რადგანაც ხედავდა, რომ სიყვარული აქარვებდა მწუხარებასა. თუმცა სიყვარული ცხოველ-მყოფელი წყარო იყო ცხოვრებისა და თვით ეს ქვეყანა განუსაზღვრელი, მაინც ხალხს ვერ აკმაყოფილებდა. ამისთვის ხალხმა დაიწყო შემუშავება ქვეყნისა: ხნავდნენ მიწას და მოჰყავდათ პური. ამ გვარად გაჩნდა ქვეყანაზედ მუშაობა: ყველას უნდა ემუშავნა, რადგან მუშაობა შეადგენდა თვით სიცოცხლეს. მუშაობისაგან წარმოსდგა შრომა, შრომისაგან—დაღალვა. შეწუხდა კვალად ხალხი, რადგან შრომას დაღალვა მოსდევდა.

წარსდგნენ ვიშნას წინაშე და მოახსენეს: «უფალო, შრომამ დაადუნა ჩვენი ხელები, დაღალვას გრძნობენ ჩვენი ძვლები; ჩვენ გვინდოდა დასვენება, მაგრამ სიცოცხლე შეუწყვეტლივ გვამუშავებსო». მოუსმინა ვიშნამ ეს თხოვნა და, ბრამას რჩევით, მისცა ხალხს ძილი. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან გრძნობდა, რომ ძილი შეადგენდა დიდებულ საჩუქარს ღვთისგან მინიჭებულ სხვა საჩუქართა შორის. ძილში იკარგებოდა ზრუნვა და დაღალულთ კვლავ ეძლეოდათ ძალა; ძილი უშრობდა თვალზედ ცრემლს და ავიწყებინებდა ქვეყნიურს ვარამს. მაგრამ ხალხი მაინც უკმაყოფილოდ იყო, რადგან ძილი არ იყო ხანგრძლივი, საუკუნო: ძილის შემდეგ იწყებოდა ისევ შრომა და შრომას მოსდევდა დაღალვა. ხელახლად წარსდგა ხალხი ვიშნას წინაშე და მოახსენა: «დიდებულო უფალო! შენ მოგვეცი დიდი და განუსაზღვრელი სიკეთე, მაგრამ იგი არ არის საუკუნო; მოგვანიჭე სიკეთე სამუდამო». განრისხებულმა ვიშნამ მიუთითა წყლის მეორე მხარეზე და უთხრა: «მე არ შემიძლია სამუდამო ძილი მოგცეთ და თუ გინდათ, გადით ამ მდინარეში და იპოვით მას, რასაც ეძებთ». ხალხმა უსმინა მას და რამდენმამე გასწია წყლისკენ. გაჩერდნენ წყლის პირას და მეორე გვერდს ათვალიერებდნენ. წყლის მეორე ნაპირს გაჭიმული იყო მინდორი სიკვდილისა, ანუ სამეფო სივასი. იქ მზე არც ამოდიოდა და არც ჩადიოდა, არც დღე იყო, არც ღამე. მთელი მინდორი ერთის ფერისა იყო. ჩრდილი არსად მოსჩანდა, რადგან ყველა კუნჭული ერთნაირად იყო განათებული. ეს ქვეყანა არ იყო უდაბნო: აქა-იქ მოსჩანდნენ მინდვრები და გორაკები, დაფარული ლამაზის მცენარეობით; მთებზედ საამურად გადმოშლილიყო გარეული ვაზი; ბალახის ღეროები ისეთი სუფთა იყო, თითქოს ჰაერისააო. ნიავი არ იძროდა; არც ერთს ბალახს არ ეტყობოდა მოძრაობა, ყველაფერი დადუმებულიყო. ხალხი, რომელიც კიჟინით მიდიოდა მდინარისაკენ, უცებ შეჩერდა და განცვიფრებული ამ სიჩუმით, თვითონაც ჩურჩულით ამბობდა: «რა სიჩუმეა იქით მხარეს? რა დასვენებულია ის მხარე! იქ უნდა იყოს მოსვენება და საუკუნო ძილიო«. ამ სიტყვებით ძალზედ დაღალულნი, რომელთაც სწყუროდათ დასვენება, შევიდნენ წყალში და გაუდგნენ მეორე მხარეს. წყალი შუაზედ გაიყო, თითქო ხელს უწყობდა გასვლას. წყლის პირზედ დარჩენილებმა მიაძახეს, უკან დაბრუნდითო, მაგრამ იმათ უკან არც კი მოიხედეს,—სწყუროდათ მალე მისულიყვნენ სანატრელ ქვეყანაში. სიცოცხლის მინდვრიდან მაყურებელი ხალხი ხედავდა, რომ რამდენადაც შორდებოდენ მათი მოძმენი, იმდენად უჩინარნი ხდებოდნენ: ბრწყინავდნენ ისე, როგორც მათ გარშემო ჰაერი სიკვდილის მინდორისა... აი მიაღწიეს სანატრელს მინდორს და წამოწვნენ დასასვენებლად ბალახებში და ხეების ქვეშ. თვალები დახუჭული ჰქონდათ; სახე დამშვიდებული, რომელზედაც იხატებოდა ბედნიერება, ის ბედნიერება, რომელიც არ სუფევდა სიცოცხლის მინდორზედ. ამის მნახველნი სიცოცხლის მინდვრიდგან ერთმანეთს ეუბნებოდნენ: «სივას ქვეყანა უკეთესი ყოფილაო» და მიაშურეს თვითონაც მეორე მხარეს. მიდიოდნენ მოხუცებულნი თავის შვილებით, შვილიშ-შვილებით, დედები, რომელთაც ხელში შვილები ეჭირათ, ყრმები და ქალწულნი. ხალხი თანდათან გროვდებოდა სიკვდილის მინდორზედ და თითქმის აღარავინ რჩებოდა სიცოცხლის ქვეყანაში.

მაშინ ვიშნამ, ბრძანებელმა სიცოცხლის ქვეყნისამ, შეშინებულმა თავისის რჩევით, რომელიც მან მრისხანების დროს მისცა ხალხს, მიჰმართა დიდებულ ბრამას: შემოქმედო ბრამავ! დაიხსენ სიცოცხლე! სიკვდილის ქვეყანა ისეთი მშვენიერი შეგიქმნია, რომ ყველამ თავი დაანება ჩემს სამეფოს.—ნუ თუ არავინ დარჩა შენს სამეფოში? ჰკითხა ბრამამ.—მხოლოდ ორი ყმაწვილი ქალ-ვაჟი, რომელთაც განუსაზღვრელად უყვართ-ერთმანეთი; ერთმანეთთან ყოფნა არჩიეს განშორებას და საუკუნო დასვენებას.—მაშ შენ რას ითხოვ?—ჰკითხა ბრამამ.—სიკვდილის ქვეყანას მოაკლე ის მშვენიერება და ბედნიერება, რომლისთვისაც ხალხი ისე ეტანება.

ბრამა დაფიქრდა და სთქვა:—არა, ეგ შეუძლებელია! მე ვერ წავართმევ იმ მშვენიერებას, რომელიც მისთვის მიმინიჭებია, მაგრამ სხვა ნაირად დავიხსნი სიცოცხლეს. ამას შემდეგ ხალხი თავის ნებით ველარ გადავა მეორე მხარეს. ბრამამ მოქსოვა სიბნელისაგან მსხვილი, გაუვალი ზეწარი, შექმნა ორი საშინელი რამ: ძრწოლა და შიში და გაჰფინა ეს ზეწარი წყლის გასავალზედ.

ამ დღიდგან ვიშნას მინდორი ხელ ახლად გაივსო სიცოცხლით. თუმცა სიკვდილის ქვეყანა ისევ ბედნიერი და მშვენიერი იყო, მაგრამ ხალხს ეშინოდა გასვლისა, რადგან წინ ეღობებოდა შიში და ძრწოლა.

გ. ნებიერიძე.

—

ნი ქაღალდები მოაშორეთ, ნაგავი კალათში ჩაყარეთ, ადგილი ძალიან დაასუფთავეთ და ჭიები ასაკრეფიანად დასვით თავიანთ ადგილას მოაშოროთ მათ საჩვენებელი. როდესაც ამ მუშაობას მორჩეთ, მოამზადეთ ფოთოლი, როგორც წინა დღით საყაჭე გამოხვეტეთ ისე, რომ მტვერი არ ავარდეს და შემდეგ ფოთოლი დაურიგეთ ჭიებს იმ წესით, როგორც წინა დღით. მთელს დღეს ყურადღება იქონიოთ საყაჭეში, რომ ა) ჭიებს თავის დროზედ დაურიგდეს ფოთოლი. *)

ბ) სითბომ არ დაიწიოს ჩვიდმეტ გრადუსამდე ალარ აიწიოს თვრამეტზედ ნაკლებ სითბოსთან ჭია აგრძელებს თავის ზრდას, მოთავებას, მეტ სითბოსთან აბრეშუმობა მალე თავდება, მაგრამ აბრეშუმი ნაკლები გამოდის.

გ) საყაჭეში თუ მეტი სითბო შეიქნა და ამინდი კარგია; გარეთ ნოტიო არ არის და ამასთან მეტი სიცხე არ არის, ვიდრე საყაჭეში,—ფანჯრები ან კარები გააღეთ და ღალებული იქონიეთ თითქმის საღამომდე. ამასთან ძალიან ერიდეთ მშრალ ქარს. თუ რომ გარეთ ისე სიცხეა, როგორც საყაჭეში და მეტიც, ან თუ ქარია, მაშინ საყაჭეში წყალი მოასხით და კედლებზედ აქა იქ სველი რამე ჩამოჰკიდეთ.

დ) თუ რომ საყაჭეში რამე სუნია (უმეტესად ის შეემჩნევა წვიმიან დღეში, ნოტიოს მიზეზით) თუ რომ ფანჯრების და კარების გაღება არ შეიძლება, ამ შემთხვევაში ბუხარში ცეცხლი შეანთეთ. თუ რომ კარგი დღეა და გარეთ ნოტიო არ არის ფანჯრები დააღეთ.

ე) აჭამეთ ხშირათ და ცოტ-ცოტა.

ვ) უკანასკნელად აჭამეთ, რაც შეიძლება გვიან და მეტი ფოთოლი დაუყარეთ სწორათ.

ზ) მური იყოლიეთ, რაც შეიძლება თხლათ გაშლით; სითხე მიუცილებელი საჭირო არის თუ რომ თქვენის გამოანგარიშებით მური კანის ცვლას დაიწყებს, მაგალითად ხვალ, როგორც ამბობენ, «ხვალ დაწვება, დაიძინებს», წინ დღით საღამოს დაუყარეთ ფოთოლი უფრო მსხვილად დაჭრილი და მეორე დღეს დილით საწოლიდგან ნუ გადაიყვანთ ასაკრეფით.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება).

---

## სამი ახალი წიგნი ი. ხ. გოგებაშვილისა.

### I

ისე არ გაიარს წელიწადი, რომ ჩვენმა სახელოვანმა პედაგოგმა არ უძღვნას ჩვენს მწერლობას ორი და სამი ახალი წიგნი, თითქმის არ აღძრულა არც ერთი კითხვა პედაგოგურ სფერაში, რომ ბ-ნ ი. გოგებაშვილს არ გაეცეს შესაფერი პასუხი; ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთები სავსეა მისი წერილებით; მათში გამოსჭვივის სიწრფელე, მამულიშვილობა და განსაკუთრებით სპეციალურ საგნის ღრმა ცოდნა. რაც შეეხება ბ. გოგებაშვილის ქართულ-რუსულ სახელმძღვანელოებს, ისინი იმდენათ სამნიშვნელოო, რომ უკავია პირველი ადგილი კავკასიის სკოლების სახელმძღვანელოთა შორის. საკმარისია დავასახელოთ «დედა-ენა» მე-17-ტეთ გამოცემული, რიცხვით თითქმის 300,000 ცალი და რუსული „Русское слово“ მეათეთ გამოცემული, რიცხვით 110,000 ცალი, რომ დავრწმუნდეთ ბ. გოგებაშვილის სახელმძღვანელოთა მნიშვნელობაში.

არ შევუდგები აქ პატივცემული პედაგოგის ნაწარმოებთა განხილვას. ეს ითხოვს ბევრს დროსა და შრომას. მსურს მკითხველის გულისყური მივაპყრა მხოლოთ ბ. გოგებაშვილის სამ წიგნაკზედ, რომელნიც გამოვიდენ წარსულ წელს, ორი რუსულ ენაზედ, და ერთიც ქართულათ, შემდეგი სათაურით: «როგორ უნდა გაუმჯობესდეს კავკასიის სახალხო სკოლა»; 2) «სამეგრელოს დაწყებითი სკოლის შესახებ» და 3) «ბურჯი ეროვნებისა». (მეორე გამოცემა). პირველს საკმაოთ მოზრდილ წიგნში ავტორი ეხება ფრიად მწვავე კითხვას კავკასიის სახალხო სკოლების შესახებ, უქვემდებარებს მათ სამართლიან კრიტიკას, გვიხსნის მათ გაუმჯობესობის საშუალებას, რასაც ამყარებს პედაგოგურ მეცნიერების ნიადაგზედ.

მართლაც, არც ერთი სკოლა არაა ისე ჩამორჩენილი მთელს რუსეთის იმპერიაში, როგორც კავკასიის და კერძოთ საქართველოს დღევანდელი სახალხო სკოლა.

ბედნიერია ის ერი, რომელსაც აქვს ბევრი და მშვენივრად მოწყობილი სკოლები.—«თუ დღეს არა, ხვალ იქნება პირველი ის ხალხი, ვისაც საუკეთესო სკოლები აქვსო», ამბობს ცნობილი ჟიულსიმონი. მართლაც სკოლების და სახალხო სკოლების წყალობით განვითარდენ ევროპის სახელმწიფონი, გაძლიერდა პრუსია.—«საფრანგეთი დაამარცხა პრუსიის ჯარმა-კი არა, სოფლის მასწავლებელმაო», სამართლიანად გაიძახოდა ბისმარკი.

სკოლამ ააყვავა ღატაკი და უმეცარი შოტლანდია, სკოლამ ააყვავა შვეციანორვეგია, სკოლამ გააძლიერა ჩრდილოამერიკის შტატები. ამავე სკოლამ რაციონალურად მოწყობილმა, შექმნა იაპონიის დიდება, სიმდიდრე და ძლიერება.

დიაღ, საუკეთესო სკოლებმა მოკლე ხანში სასწაული ჩაიდინეს შორეულ აღმოსავლეთში და მისცეს იაპონიას ძალა და გამბედაობა ჯერ დაემარცხებინა დიდი ჩინეთი და ახლა დასძგერებოდა უზარმაზარ რუსეთს.

ასეთია ძალა და მნიშვნელობა რაციონალურ სკოლისა. კარგი მასწავლებელი, კარგი სკოლა ანვითარებს ბავშის, ადამიანის და ხალხის გონებას, ანვითარებს მათს ზნეობას, ნებას, ხასიათს და საერთოდ სულიერ თვისებათ, ამცნევს ბუნებას და ცხოვრებას, აძლევს სულიერ ძალას და ქმნის მის მოქმედებას ფრიად სასარგებლოს და ნაყოფიერს. სკოლა, ჭეშმარიტი სწავლა იგივეა კაცის სულისათვის, რაც ყანისათვის მორწყვა და სასუქი. ამიტომ მთელი ჩვენი პრესის, საზოგადოების და მეტადრე მთავრობის ყურადღება უნდა იყოს მიქცეული სკოლის სისტემის გაუმჯობესობაზედ. ყველა სახელმწიფოს მეთაურთა უზენაესი მისწრაფება უნდა იყოს ხალხის გაძლიერება, კულტურო-ეკონომიური განვითარება და ბედნიერება, ეს კი შესაძლებელია უმთავრესად კარგი სკოლებით. ნეტარება იმ ერს, იმ სახელმწიფოს, რომელთა მთავრობამ შეიგნო ეს დიადი მცნება და ახორციელებს მას! ვაი იმ ერს, რომელიც მოკლებულია საზრიან სკოლის ცხოველ-მყოფელ გავლენას! «გსურთ, რომ ხალხი მოაშოროთ ნივთიერ სიღატაკის საშინელ კირთებას? მააფრქვიეთ ყველგან სინათლე დაწყებითის განათლებისა. ესაა ჭეშმარიტი საშუალება ხალხის ნივთიერ მდგომარეობის განსაკარგებლად და მის საკეთილდღეოთ», ამბობს დიდი პედაგოგი პესტალოცი.

სწორედ ამავე აზრისაა ბ-ნი გოგებაშვილი.

როგორია ჩვენი სკოლა? ყველაფერი ვითარდება, ყოველივე ემორჩილება ევოლუციის მტკიცე კანონს, განვითარდენ მეცნიერებანი, განვითარდა პედაგოგიკა, მხოლოდ რუსეთ-კავკასიის სკოლა ჩამორჩა საერთო პროგრესს და განისვენებს ისევ საშუალო საუკუნის სხოლასტიკის რუტინაში. ამ გვარია ჩვენი გიმნაზია და სემინარიები, მაგრამ ყველაზედ უარეს ყოფაშია ჩვენი სახალხო სკოლა, ის სკოლა, სადაც უნდა მიიღონ აღზრდა კავკასიის მკვიდრთა ცხრა მეათედმა. თუ ამ გვარი სკოლა ცუდ მდგომარეობაშია რუსეთში, რაიცა ცნობილია პედაგოგიურ სფერის მნათობთა მიერ, იგივე სკოლა კიდევ ბევრად უარეს ყოფაშია კავკასიაში, ვინაიდგან აქ მრავალ ცუდ მხარეს ემატება ყველაზედ უარესი, ესაა სამშობლო ენის განდევნა ან ფრიად დამცარება და საგნების სწავლება უცხო ენაზედ. სწორედ ეს გახლავთ უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენში სოფლის სკოლა ვერ იძლევა ვერავითარ ნაყოფს, ვერავითარ ცოდნას არც ერთ ენაზედ, და განვითარების ნაცვლად აჩლუნგებს შეგირდის სულსა და გონებას. ეს საშინელი ნაკლი ჰპოვეს ჩვენს სკოლაში რუსის პედაგოგებმა. ეგევე ნაკლი ჰპოვეს საგუბერნიო კომიტეტებმა.

აი რას ამბობს, მაგ. «ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი»: (სოფლის) სკოლამ ვერ გაამართლა იმედები და უშვებს კურს დამთავრების შემდეგ სრულს უმეცართ ორივე ენაში».—«არ არის განათლება თვინიერ სამშობლო ენისა, რომელიც არის აზროვნების იარაღი», ამბობს ცნობილი პედაგოგი ნეკრასოვი.—«როცა აწყებინებთ სწავლას ბავშს უცხო ენაზედ, იმ დროს, როდესაც იგი ცუდათ კითხულობს დედა-ენაზედ, ეგ იმას ნიშნავს, რომ ძირშივე უკლავთ კითხვის სურვილს და განვითარებასა», გაიძახის ქებული პედაგოგი უშინსკი.—„ქართველის, პოლონელის თუ თათრის ბავში გამოდის ბევრათ უფრო ჭკვიანი, ფხიზელი და ზნეობიანი, როცა სამშობლო ენა ხდება მის განვითარების პირველ დაწყებით იარაღათ,“ გვეკარნახებს ამ ჭეშმარიტებას ერთი ავტორი ჟურ. «რუსის ვესტნიკში». ვკვირობ, ნეტა რათ ავიწყდებათ ეს საანბანო აქსიომა ჩვენში?!

სამშობლო ენა არის ის უძვირფასესი ორგანო, რომელიც ღრმად დაკავშირებულია ადამიანის სულიერ არსებობასთან და ურომლისოთ შეუძლებელია ბუნებრივი განვითარება და აყვავება.—«ენაა უდიდესი იარაღი ადამიანის სულისა, ზნეობაშემეცნების და განვითარების ორგანიული ბერკეტი», ამბობს ერთი მეცნიერი. ღრმა პატივის ცემა ყოველი ხალხის დედა-ენისადმი და ბრძანება, რომ არ იყოს ამ ხალხთა სკოლებში გაყვანილი რაიმე პოლიტიკური ტენდენცია, არამედ მხოლოდ განათლებისადმი უანგარო მსახურება და სწავლა-აღზრდის სისტემის განკარგება, ყოველივე ეს ნათლად სჩანს ალექსანდრე მეორის 30 აგვისტოს 1864 წლის უზენაეს მანიფესტში. სამშობლო ენის უდიდესი მნიშვნელობა ბავშის აღზრდა-განათლებაში კაი ხანია ცნობილია პედაგოგიკაში, იგი ერთხმად ცნეს ევროპა-რუსეთის მეცნიერებმა. ვერსად და ვერას დროს უცხო ენაზედ სწავლებით პედაგოგებმა ვერ მიაღწიეს თავის საწადელს.

მიუხედავათ ამისა ჩვენ, კავკასიელთ, ვერ გვიშველა ვერც მეცნიერებამ, ვერც გამოცდილებამ და ვერც რუსთა იმპერატორის უზენაესმა მანიფესტმა.

«რამდენი დღე გადის, უფრო და უფრო ასუსტებენ ჩვენს ენის სკოლებიდან და ეკლესიიდან. ნეტა ვის რა ეძინება ამ საქციელით? ნეტა რა სინდის აღწევენ ამით, გარდა იმისა, რომ სწავლა განათლების მიცემის ნაცვლად ამახინჯებენ ჩვენს შვილებს და მთელს ხალხს». ნუ თუ ესაა უზენაესი მთავრობის ინტერესი?! განა ამისათვის შეეფარა საქართველო დიდ რუსეთს და შეეწია დაეპყრო მთელი კავკასია?! განა ამ რიგათ შეიძლება დაავიწყო ხალხს ყოველივე თავისი, შეაყვარო სხვისი ენა და კულტურა?; თუ ამას ფიქრობენ, ფრიად სცდებიან. ამ გვარი საშუალებით ვერავინ მიღწევნილა და ვერც ვერავინ მიაღწევს თავის საწადელს. ამით მხოლოდ გააბოროტებენ ხალხს, შექმნიან ავაზაკობას კავკასიაში, და დაჰბადებენ ერის გულში ზიზღსა და სიძულილსო».

(შემდეგი იქნება)

---

## ჩვენებური ამბები

**ზემო იმერეთი.** (კლდეეთის საზოგადოება). თანამედროვე ცხოვრებამ ისეთი მწვავე, მრავალ-ფეროვანი საგნები დაგვიყენა წინ, რომ იმათი ახსნა და განმარტება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ერთი ამ გვარი საგანი ჩვენი სოფლის დღევანდელ მდგომარეობას შეეხება. სოფლის მდგომარეობა საზოგადოდ ჩვენში არაა რიგიანად გამორკვეული, მეცნიერულის მეთოდით შეუსწავლელია სურათი მისი ეკონომიური მხარეებისა, სუსტია სტატისტიკური ცნობები და განუსაზღვრელია რეალური კერძოობა სოფლის ავ-კარგიანობისა. მარტო სოფლებიდამ მოწერილ ამბებს რომ დავემყაროთ და ეს გავიხადოთ იარაღათ სოფლის ნამდვილ მდგომარეობის დასახატავად, არაა საკმარისი, სუსტია ასეთი იარაღი, სუსტი დარჩება მსჯელობა და სავსებით აღუდგენელი ფაქტიური სინამდვილე. კორესპონდენტების წერილებიდამ ვიცით: სოფელი დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი, სიღატაკე და შიმშილობა მეფობს ყველგან, სოფლელნი იძულებულნი არიან გამოეთხოვონ თავიანთ საკუთრებას და მიაშურონ სხვადა-სხვა ქალაქებს, მომეტებული ნაწილი გაუდგა გაპროლეტარიატობის გზას, ბევრი მთლად გაპროლეტარდა. სოფელი დაიყო კლასებათ, გაჩაღდა მათ შორის ბრძოლა, ანტაგონიზმი. კიდევ ათასი სხვა რამ იწერება სოფლებიდამ. ამ ნაწერებში ბევრი სიმართლეა და ბევრიც სინამდვილეს მოკლებული ამბები. ასეც უნდა იყოს, რადგან კორესპონდენტები, საზოგადოდ ჩვენში და მით უმეტეს სოფელში, მოკლებულნი არიან რიგიან ცოდნასა და განვითარებას. რაკი სუსტია კრიტიკული აზროვნება სოფლის კორესპონდენტთა, ცხადია, სუსტი იქნება არა საბუთიანი კრიტიკით აღდგენილი სინამდვილე.

ამ რამდენისამე დღის წინათ ერთი ჩემი გურული ნაცნობი მასწავლებელი მიმტკიცებდა, მე გამოვიკვლიეო ეკონომიური მხარე გურიის ზოგიერთ სოფლებისა და დამტკიცდაო, რომ იქ არის თითქმის ორმოცი, ორმოც-და ათი პროცენტი „წმინდა“ პროლეტარებისა. მე ეჭვი შემივიდა და დღესაც ეჭვში ვარ, ძნელია იმის თქმა, რომ ჩვენში, მაგ. გურიაში, რომელსამე სოფელში იყოს უმიწაწყლო, სავსებით მიწის საკუთრებას მოკლებული 49%—50% გლეხებისა, თუმცა ამავე დროს იმისი უარყოფა არ შეიძლება, რომ სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა თანდა-თან ღატაკდება, და სიღატაკის ბრჭყალებში სულსა ღაფავს, მაგრამ ესეც უნდა დაამტკიცო მეცნიერულად, სტატისტიკურად გამოიკვლიო, თუ სადამდისაა მისული უმრავლესობის სიღატაკე სხვადა-სხვა გუბერნიებში, მაზრებში, პროვინციებში და სხვ., უნდა უჩვენო ნამდვილი ციფრები, თუ რამდენი პროცენტია მსხვილი საკუთრების მქონენი, ვინაა ამ საკუთრების წარმომადგენელი, რამდენია საშუალო საკუთრების მექონი და რაში გამოიხატება ეს საკუთრება, რამდენია და როგორია წვრილი მესაკუთრენი, რამდენია მთლად უმიწაწყლო (პროლეტარები) და სხვ. ციფრები მოგვცემს ნამდვილ სურათს ჩვენი ეკონომიურ მდგომარეობისას, რის შემდეგაც შეძლება გვექნება მსჯელობა ვიქონიოთ იმის შესახებაც კი, თუ რა ცვალებადობა მოჰყვება ყველა ამას, როგორი იქნება მომავალი და რა ფორმებში ჩამოისხმება ჩვენი საზოგადოებრივი ეკონომიური ცხოვრება. საუბედუროთ, ასეთი ნამდვილი გამოკვლევა ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შესაძლებელი. ეს ერთ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს და აი ეს არის სუსტი მხარე ჩვენებურ «ეკონომისტებისა».

დღეს კი დაგვრჩენია, მხოლოდ საკუთარს შეხედულობას დავემყაროთ, საკუთარი კრიტიკით გავსჭვრიტოთ ჩვენის სოფლის ავ-კარგი და, შეძლებისა დაგვარად, ამოვკრიბოთ ხოლმე ზოგიერთი ფაქტები სოფლის ცხოვრებიდან. აი ამ მხრივ შევეხები კლდეეთის საზოგადოებას და მოკლედ მაინც ვისაუბრებ ამ საზოგადოების შესახებ.

«საწყალი კაცისათვის არც გათენებულა და არც გათენდებაო», «საწყალი კაცის მარჯვენა მთელს ქვეყანას არჩენს და მის ქედზე კი ქვეყანა კალოს ატრიალებსო», ამბობს სახე გამხდარი, გალურჯებული, შრომისა და სიმწარისაგან წელში მოხრილი, ძონძებში გახვეული გლეხი, რომელსაც დაჰკარგვია იმედიც კი უკეთესის მომავლისა, რომელიც სწყევლის თავის გაჩენის დღეს, ბედის წერას, წარსულს და აწმყოს და, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, მწარეთ ოხრავს! გლეხის სისაწყლე, სიბეჩავე მის სახეზედვე სწერია. შეგთხოვს დახმარებას, გზის ჩვენებას, მას სჭირია მეთაური, ბელადი, რომ გლეხს გვერდში ამოუდგეს, იმედი, სასოება ჩაუნერგოს და სინათლისაკენ მიახედოს, მაგრამ სად არის ამ ნაირი ადამიანი. აი აწინდელი სურათი სოფლისა: პატარა ქოხი, დამპალ, ხავსიან ყავრით დახურული, სადაც ჩამოდის წვიმა, ტბა დგება ქოხში, სიცივისაგან აძაგძაგებს საცოდავ ოჯახობას; აგერ გლეხის ბავშვები, თმა გაბურძგნილი, მარტო პერანგის ამარა, ფეხ-შიშველა ატარებენ თავის სიცოცხლეს თოვლსა და სიცივეში.

შიმშილისაგან დაწიოკებული ბევრი გაურბის სოფელს და გადადიან ერთიდამ მეორე ადგას ბედის საძებნელად, ზოგი სოფელშივე მოჯამაგირეობს, ზოგი დღიურად მუშაობს და ამ გვარად თავის უპირველეს მოთხოვნილებას ძლივს აკმაყოფილებს. შეგნებული მოქმედება, ბრძოლა ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზეა და, რა გასაკვირველია, თუ სასოფლო მოხელეების არჩევნები ᲓᲐ სოფლის ყრილობებიც ასე უშინაარსო და უსარგებლოა. წრევანდელი არჩევნები უკვე გათავდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო: ძველი მამასახლისი გადააყენეს და ახალი აირჩიეს. ძველმა ვერაფერით ვერ გადააჭარბა თავის წინა მოადგილეს; თუმცა არჩევამდე ბევრ რამეებს გვპირდებოდა, მაგრამ სიტყვამ ვერაფერი ქმნა და საქმით სულ სხვა გამოჩნდა, გამოჩნდა ის, რაც საზოგადოთ ჩნდება ხოლმე სოფლის მოხელეთა მოქმედებაში, მათ საგმირო «მოღვაწეობაში». არც ერთი სასარგებლო საქმე საზოგადოებისათვის ყოფილ მამასახლისს არ დაუწყია და არ გაუკეთებია, არც ერთს იმდენი დაპირება სიტყვით არ გამოუჩენია, არც ერთზე ნაკლებ «საქმეთი სოფლით» მას არ უსარგებლია და არც ერთზედ ნაკლებ საზოგადოებისათვის ზარალი არ მიუცია. და ეს ასეც უნდა იყოს. ასე იქნება იქნამდე, სანამ ხალხი თავის უფლებას შეგნებულად არ მოიხმარს, სანამ უფლებას იგი მხოლოდ სახეულით ატარებს და საქმით სხვას «ახვრევინებს», სანამ სხვა უწევს მას ულირსს, შეუფერებელ ძიძაობას, «აპეკუნობას». შეიძლება ახალი მამასახლისი ბ. ა. გოცაძე, როგორც ახალგაზდა კაცი, შეგნებითაც მეტი, წერა-კითხვის მცოდნეც, შედარებით უკეთესი იქნეს ძველზე, და საზოგადოდ «ძველებზე», მაგრამ ამას კი ვიწინასწარმეტყველებთ, რომ ის მაინც ჩვეულებრივად თანამედროვე მამასახლისათ დარჩება. ასე თუ ისე, მომავალი ხომ უტყუარად გვიჩვენებს ყველაფერს და ჩვენც, თუ მანამდი ცოცხალი მივახწიეთ, ორიოდე სიტყვას იმაზედაც ვიტყვით; ვამბობთ და ვიტყვით, მხოლოდ ვინაა გამგონე—ეს ღმერთმა უწყის. მაგრამ მართალი სიტყვის გაგონება კლდეეთის საზოგადოების მოსამართლეებს რომ არ უნდათ, არც ენდომებათ, ამას თამამად ვიტყვით; პირადი სარგებლობის მაძიებლობას ხომ «ცენზურა» არ სჭირია და ნება დართულია დღევანდელ დროში ისე, როგორც ნებადართული იყო სამი წლის განმავლობაში „სასახელო პროგრამა მეტი გამორჩენისა“ ყოფილი მამასახლისის ბ. მე—შვილისა, «სახელმწიფო ბეჭედის დასმითა და ხელის მოწერითა მისითა; დროით უნდა ისარგებლო კაცმა და, რა გასაკვირველი, თუ პატივცემული მოსამართლენი სარგებლობდენ და ისარგებლებენ. აი რაში იხატებოდა პატივისცემა: 1) სამართალი კლდეეთის სასოფლო სასამართლოში ყველასთვის თანასწორი და მიუდგომელია და მისი მოპოვება შეიძლება „მეტი პატივისცემითა ჩვენითა“, ამისთვის მიიღება ყველა მომჩივანთაგან (ვისაც შეუძლია) სხვადა-სხვა ხარჯი მსუქანი დედლებითა და კარგი მაგარი ღვინით, რითაც ცოტა შეხურების შემდეგ ეოველთვის კარგად ირჩევა «კალონი; 2) მიიღება პატივისცემა ფულით საქმის დაგვარად. რამდენად მეტათ «მაგარია საქმე», იმდენად მეტი უნდა იქნეს „ჯამი გამორჩენისა“ და, პირიქით, ვინც ზემო აღნიშნულს არ აასრულებს, ის „კლიაუზნი“ კაცია, «კალონის» წინააღმდეგი, და სამართლის მაგიერ სასჯელი ელის «კალონის ძალითა».

ამ დადგენილებას ცხოვრებისას ასრულებს ხალხი. ბევრს არ შეუძლია ამ დადგენილების ასრულება უსაშუალებისა გამო. საიდამ უნდა გამოძებნოს? მიწა ისე ცოტა აქვს, რომ მოყვანილი სარჩო ორთვესაც არ ყოფნით. ერთად ერთი წყარო ღვინო იყო და იმისი ფასიც წელს ძლიერ დაცემულია, საპალნე ღვინო, რომელიც წასულ წელს 30—40 მანეთამდე იყიდებოდა, წელს 20—23 მანეთს ზევით აღარ იწევს და იმასაც არავინ იძლევა, ელიან ღვინის გაძვირებას, ჰგონიათ სოფლელებს, სიძვირე ომიანობას მოჰყვებაო. ზოგი-კი ვეღარ უცდის, სიღარიბე სულს უხუთავს და ღვინოს მუქთათ ჩარჩების ხელში აგდებს. ამას ხელს უწყობს „დალალების“ ხრიკები, რომლებიც მუდამ დ. ყვირილაში ბუდობენ და გაიგებენ თუ არა, ღვინის ვაჭრის მოსვლას, ჩაიგდებენ ხელში და მიჰყავთ სოფელში იმისთანა ღვინის პატრონებთან, ვისაც ადვილათ აძრობენ კანსა“. გლეხი არ კმარობს, რომ საქონელი მუქთად ეცლება ხელიდან, ჩუმათ დალალს ჰპირდება ჩვეულებრივზე მეტ საჩუქარს; ჩარჩიც ხარბათ სარგებლობს, და ვინ არ სარგებლობს დღეს ამ საბრალო ხალხის ნაოფლარ ნაჭირნახულევითა!!

განკიცხული.

---

## წერილი

### რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ ამ პაწია შენიშვნას შესახებ ხონის მთავარ-ანგელოზის ეკლესიისა, რომელიც დასტამბულია «ივერიის» № 72 ამა წლისა, გრიშა იმერლისა. კორესპონდენტი ამბობს: როგორც საზოგადოთ ყველგან, აქაც ეკლესიის ეზო შეკავებული უნდა იყოს ისე, რომ მიცვალებულთა საფლავებს პირუტყვნი არა სთელავდნენ. ამ გარემოებას მთავარ-ანგელოზის ეკლესია მოკლებულია. პირველ დანახვაზედ ეზო უფრო წააგავს ძველ თავლების გომურს, სადაც ერთად არიან ხარი, ძროხა, ღორი, ბატები და სხვ. აი ამ სიტყვით იხსენიებს

---

*) ჭმევის დროს თითონ ჭიები გაჩვენებენ: თუ დაყრილი ფოთოლი უკვე შეჭმულია, ფოთოლს ხელ-ახლა უნდა დაყრა.

კორესპონდენტი იმ წმიდათა წმიდა ადგილს, რომელიც მიგვაჩნია ჩვენ მამა-პაპეულ ეკკლესიათ და სამარცხვინოთ მაქვს მე, ხმა არ ამოვიღო და არა ვსთქვა, რომ ეს სრული სიცრუეა. აი ნამდვილი ეს გახლავთ: ამ ჟამად ზემოხსენებულ ეკკლესიასთან კეთდება სამრეკლო და მასალის მოზიდვის დროს ელექტრონის ურმები არა გვაქვს და უსათუოთ ხარი და კამეჩით ვზიდავთ. ალბათ იმ დროს უნებებია იქითკენ გასეირნება და საქონლის ნახვა. რაც შეეხება ქალების და ყმაწვილ კაცების არშიყობას—ეგ «განათლებაა» და მეკი ამას ვიტყვი, რომ «ავი კაცი აღდგომასაც ავიაო», და როგორ მოვსპოთ ეს სენი, თქვენ თითონვე უნდა მიხვდეთ.

მიქაძე ხონელი.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ო.—ი. პ. ა—ძეს.** ის წერილი, რომლისასაც თქვენ იწერებით, არ მიგვიღია.

**სანდრო რუხაძეს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. არც მაზრაა აღნიშნული, არც მხარე, საიდგანაც იწერებით კორესპონდენციას.

**მ. ჯ—ძეს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 აპრილი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კურაპატკინისა მის უდიდებულესობას სახელზე 27 აპრილით: საიცმაცსა და ფინხუან-ჩენ შუა იაპონელების ჯარები არ უნახამთ ჩვენს მზვერავებსა. საკმაო ჯარი იაპონელებისა 25 აპრილს ფინხუან-ჩენის მხრიდამ ხაიჩენისკენ წამოვიდა.—სადგური პულიანდი სამხვრის დარაჯმა დაჭირა. იაპონელებისაგან დაქცეული გზა შეკეთებულია სანშილიპის სადგურამდე. ყველა მუშაობას ხელმძღვანელობდა პოდპოლკოვნიკი მეოთხე სარკინისგზაო ბატალიონისა სპირიდოვი. ამ გამბედავმა შტაბ-აფიცერმა წაიყვანა მატარებელი პორტ-არტურს და მიაშველა სასროლი მასალა. რომ ეს მატარებელი იაპონელებს ხელში არ ჩავარდნოდათ, ასაფეთქებელი მასალა გამზადებული ჰქონდა. გამბედაობამ თავისი გაიტანა. ოთხს საათზე მატარებელი მივიდა სადგურ ცზინჩჟოს სადაც ის გენერალ ფოკს ჩააბარ, და აქედან მიიყვანეს უვნებლად პორტ-არტურს. პოდპოლკოვნიკი სპირიდოვი ორთქლმავლით ვიფანდს მივიდა. იაპონელები ბიცზივოს გადმოსვლის შემდეგ პირდაპირის გზით მოდიან ცზონჩჟოუსკენ და 27 აპრილს მოწინავე რაზმებმა ღამე გაათიეს სადგურ სანშილიპის ზემოდ, სიმაღლეებზე. კონცხ კონეჩნის ჩრდილოეთით 30 გემი იდგა.—დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრესის შტაბის სახელზე 27 აპრილით: გენერალი ზასულიჩი იუწყება ფინ-ხუანჩენიდან, იაპონიის გვარდიის დივიზია ეს ორი დღეა მიდის დასავლეთად ხაიჩენისაკენ. როგორც ხმა ისმის, იაპონიის რაზმი, ესე ერთ დივიზიამდე 40 ზარბაზნით, 1500 ცხენოსნით, 27 აპრილს უნდა გასულიყო საიმაძისაკენ. როგორც მდინარე დაიანსხეს მხრიდან იტყობინებიან 24 აპრილის თარიღით, იაპონიის ჯარები სამ ნაწილად ჯგუფდებიან. ადგილობრივ ჩინელებისაგან რაიმე ცნობის შეტყობა საძნელოა; შემთხვევა იყო, სალიძაიპუძის მიდამოებში ჩინელმა იაპონელთა მზვერავი რაზმი გააფრთხილა, ყაზახთა რაზმი ჩასაფრებულიაო, და ამითი გადაარჩინა".—დეპეშა ხარკევიჩისა უმთავრესს შტაბში 28 აპრილით»: როგორც მდინარე დაიანხანედან იტყობინებიან, 25 აპრილს, საღამოთი, დაგუშანი ჯერ არ იყო იაპონელებისაგან აღებული. ყაზახთა რაზმი მივიდა დასათვალიერებლად ლუანმოიასთან და მერე დაუწყო იაპონიის როტას სროლა, როტას მალე მოეშველნენ და ჩვენი ასის კაცის წინააღმდეგ მთელი ბატალიონი და ნახევარ—ესკადრანი გაჩნდა. ამ დროს დაიახონზე გადმოდიოდა იაპონელთა ქვეითი ჯარი. ასის თავს სარაევს მარცხნივ შემოუარეს, ამიტომ ამან თავისი რაზმი გააბრუნა და ჯერ 8 ვერსი აკლდა სეძეხოგემდე, რომ შეეფეთა იაპონელთა ცხენოსანთა. ორთავე შეხლის დროს ჩვენ ზარალი არ მოგვსლია. იაპონელებს-კი, ვგონებთ, ერთი აფიცერი და ერთი ჯარისკაცი დააკლდათ.

**კრემენჩუგი.** ჯარის შეკრება კრემენჩუგში და მაზრაში გათავდა. ცხენების მიღებაც გათავდა.

**კრონშტადტი.** სამხედრო გარეთის მოგზაურობიდან დაბრუნდა 1 რანგის კრეისერი «გენერალ ადმირალი».

**ვლადივასტოკი.** ვლადივასტოკში მშვიდობიანობაა; მტერი არა ჩნდება. ხმები მოგონებულია. უფროსი საგერის საქმეებისა, ჯარებისა და სიმაგრეების დათვალიერების შემდეგ, წავიდა აქედგან.

29 აპრილი.

**ლონდონი.** «რეიტერის სააგენტოს» წარმომადგენელს უბაასნია იაპონიის სახელმწიფო მოღვაწე ბარონ სუემატსუსთან, რომელსაც უთქვამს: იაპონიის აზრი ის არის, რომ რუსეთს, რაც შეიძლება, უკან დაეწევინოს. მომავალში რუსეთს არ უნდა მისცენ ნება, დამკვიდრდეს კორეიაში პოლიტიკურად და ტერიტორიალურად. კორეია იაპონიის ეგვიპტედ იქმნება. მანჯურიაში იაპონიას სხვა არა უნდა რა, გარდა იმ უფლებისა, რომლითაც სარგებლობენ სხვა სახელმწიფონიცა. მანჯურია ჩინეთს უნდა დაუბრუნდეს და ამასთან უნდა ვიზრუნოთ, რომ აღარ გამეორდეს ის მდგომარეობა, რაც ომამდე იყო. იქნება მანჯურიიდან შესდგეს სახელმწიფო — ბუფერი, ჩინეთის უფროსობითა. იაპონია სცდილობს, ჩინეთმა ნეიტრალიტეტი არ დაარღვიოს. მე არა ვითარ მნიშვნელობას არ ვაწერ იმ შიშს, ვითომ ჩინეთში რაიმე ცვლილების გამო ომში ჩაერევა რომელიმე დიდი სახელმწიფოვო. როგორც უნდა გაიმარჯოს იაპონიამ, იმის პოლიტიკას ის აზრი აქვს, რომ მთელს სახელმწიფოებს აღმოსავლეთში თავისუფლად შეეძლოთ მოქმედება».

**სტამბოლი.** ალექსანდრიაში ჭირით ბევრნი გახდნენ ავად. ბაღდადში ხოლერა მოისპო.

**კანნი.** თავადმა გოლიცინმა გაუგზავნა დიდს მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულს 4,000 ფრანკი, რომელიც შემოვიდა აქ გამართულ გასართობთაგან რუსეთის დაჭრილთა სასარგებლოდ. აქაურმა კომიტეტმა განიზრახა მრავლად გაჰგზავნოს ჭრილობათა შესახვევი მასალაცა.

**პარიჟი.** გარიგდა საფრანგეთისა და ისპანიის საქმე მაროკკოს შესახებ.

**პარიჟი.** გავრცელდა ხმა, რომ ვითომ მოტიენის ხეობაში მოჰხდა ბრძოლა რუსთა და გენერალ კუროკის შორის.

**ტოკიო.** (რეიტ. სააგენტო). აღმოჩნდა, რომ ფინ-ხუან-ჩენი აიღეს არა იმ ჯარებმა, რომელნიც იბრძოდნენ იალუსთან, არამედ შერეულ ბრიგადის ჯარებმა სარაკის უფროსობით. ეს ბრიგადა გასულა იალუში ჩახანსენთან და ბილიბილიკ წასულა იქითკენ.

**ტოკიო.** (რეიტ. სააგენტ.). მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა გამოსცეს ახალი შინაგანი 5%-ნი სესხი 100 მილ. იენისა.

**ანდუნი.** («რეიტერ. სააგენტ.»). აქ მოტანილი რუსეთის თოფ-იარაღი, რომელიც იალუსთან იქმნა წართმეული, არის: 20 ზარბაზანი, 10 ტყვიის მფრქვევი, წვრილი თოფ-იარაღი, ბარგის ურმები, ორი სამხედრო ქსენონი და ნაწილნი სამუსიკო იარაღისა, ტყვიით დაცხავებულისა. ყველა რუსნი, რომელნიც ქსენონებში გარდაიცვალნენ, დამარხულ იქმნენ ანდუნის სერის მწვერვალზედ. დასაფლავების დროს მიცვალებულთ გაჰყვა იაპონიის საპატიო დარაჯი და რამდენიმე შტაბ-ოფიცერი. დანიის ლოტრანგთა მისიონერმა, რომელიც იყო ერთად-ერთი უცხოელი ანდუნში, აუგო ანდერძი მიცვალებულთ.

**სეული.** («რეიტერის სააგენტო») რუსთა რაზმს, როგორც ჰგონებენ 200 კაცამდე, იერიში მიაქვს ანჩჟიუზე. რიცხვმცირე მეციხოვანეთა ჯარი იაპონელთა მედგრად იცავს ქალაქსაო.

**ტოკიო.** იაპონიის სესხს მხოლოდ ისა აქვს აზრად, რომ უზრუნველ ჰყოს ოქროს ფულის მიმოტრიალი და მუშაობა. სესხი სამხედრო საჭიროებას არ მოხმარდება. სამხედრო ხარჯი დაფარულ იქმნება თვით ქვეყნის ღონითა და შეძლებითა.

**ლონდონი.** იაპონიის ახალ სესხის ნახევარი 5 მილიონ გირვანქა სტერლინგისა გამოიცა, მეორე ნახევრის გამოცემა სწარმოებს ნიუ-იორკში.

**ლონდონი.** მტერთა ჯარები პირისპირ უდგანან ერთანერთს მდინარე ტაიძის სამხრეთად. სულ მოკლე დროში მოელიან ბრძოლას. კუროკის უჭირავს მოტიენლინის ხეობა ლიაშანამდე და ელის დაგუშანთან ხმელეთზე გადმომსხდარ ჯარებს. კუროპატკინმა შემოიკრიბა ჯარები და დააბანაკა გამაგრებულ მაღლობებზედ ლიაოიანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთად. თან ყოველ-დღე ათვალიერებს თავის მხედრობას. კუროკიმ ბრძანება გასცა, ყურადღებით მოეკიდეთ ჩინელებს, რომელთა მდგომარეობაც ღირსია შებრალებისაო. იაპონელებს უნდა ახსოვდეთ, რომ ვეომებით მტერს მეგობართა ქვეყანაშიო.

**პარიჟი.** იაპონიის სატრანსპორტო გემები ბიძივოსთან ჩაღუპულ იქმნა ზღვაში ნაღმიანის გემებით, რომლებიც პორტ-არტურიდან მოვიდნენ.

**ბერლინი.** მცოდნე კაცნი მსჯელობენ პორტ არტურის გამო და ამბობენ, ძალიან მოსალოდნელიაო, რომ იაპონელები ჯერხნობით პორტ-არტურს არ შეაწუხებენო, მხოლოდ ეცდებიან რკინის გზის ლიანდაგი დაიჭირონ ჩრდილოეთის მხრივაო.

**ტოკიო.** (რეიტ. სააგენტ.). დაწვრილებითი ამბავი ყაზახთა იერიშისა: 27 აპრილს ანჩჟიუში ორასმა ყაზახმა გაქანებული იერიში მიიტანა მეციხოვნე ჯარზე, რომელიც მედგრათ დაუხვდა ყაზახებსა და იგერებდა. ბოლოს იაპონელებს პენიანიდგან მიეშველნენ. რუსთა ჯარი ყოფილა იოგბენს, ანჩჟუსა და ინსანს შუა. უეჭველია, ეს რაზმი დიდი არ იქმნება, შესდგება კავალერიიან; ის გაგზავნილია სამხრეთად და აზრად აქვს შეაწუხოს ფრთედი და მისვლა მოსვლა ჯარებისა დააბრკოლოს.—იაპონელნი იუწყებიან, რომ იმათ ზარალი არ ჰქონიათ.

**მუკდენი.** მოსულ ამბებიდან სჩანს, ერთი იაპონიის დივიზია ცინხუაჩენიდან წამოსულა ხაიჩენისაკენ; მეორე რაზმი მიდის სმაცსისაკენ, ამას გარდა კიდევ აღმოაჩინეს მცირე რაზმი ფინ-ხუან-ჩენის სამხრეთ-დასავლეთად; იაპონელები გადმოდიან მდინარე დაიახეს ქვემო ადგილებზე. რამდენი იაპონელი გადმოვიდა ბიცზივოს, სწორედ არ იციან. ნავთსადგური სიცხაო ჩვენ დავიჭირეთ.

**ვლადივოსტოკი.** კვირა საღამოს ეტლით მომავალს ანტრეპრენეს ნინინაპეტიპას და მის ქალს ლელევას ქუჩაში თავს დაესხნენ ორნი ავაზაკნი, წაუჭირეს ყელში და ფული მოსთხოვეს. იმათ ყვირილზე ხალხი შეიკრიბა და გადაარჩინეს. ავაზაკები შეიპყრეს. ამბობენ, რომ იმათ სამხედრო სამართალში მისცემენო.

**პეტერბურგი.** 28 აპრილს მარსის მეიდანზე უმაღლე ი ალლუმი იყო ჯარებისა. აღლუმზე იყო სულ 52 ბატალიონი, 43 ესკადრონი, 12 ასეული და 91 მინდვრისა და 36 მთის ზარბაზანი.

**ხარბინი.** ღამე 25 აპრილს სახალხო მატარებელით მოვიდა პორტ-არტურიდან კომანდირი «პეტროპავლოვსკისა» კაპიტანი იაკოვლევი, მძიმედ დაჭრილი მიჩმანი ზაევი, ნაღმოსან „ვლასტნისა“, მედროშე—ოფიცერი განსვენებულის ადმირალის მაკაროვისა მიჩმანი ვლადიმირ შმიდტი. ყველანი პეტერბურგს მიემგზავრებიან.—ნება მოგვცეს გამოვაცხადოთ, «პეტროპავლოვსკის» ოფიცერთა სიაში, რომელიც დაბეჭდილი იყო «მთავრობის მოამბის» № 79-ში გამოტოვებულია მიჩმანი ლევ პეტრეს ძე შმიდტი, ოთხის დღის წინად დანიშნული «პეტროპავლოვსკზე», ვიდრე ეს ჯავშნიანი გემი დაიღუპებოდა.

**ვლადივოსტოკი.** სამხედრო გუბერნატორმა ნება მისცა სუჩანის საზოგადოების გლეხ-კაცობას გაჰყიდონ საქონელი საკლავად ვლადივოსტოკისათვის.

**შანჰაიგუანი** (რეიტ. სააგენტო) რუსნი ჯერ ისევ ნიუ-ჩუანის მახლობლად არიან; ზოგნი ისევ უკან ბრუნდებიან ქალაქში. დაშიციაოს არტილერია მზად არის ლაშქრად წასვლისათვის. არა მართლდება ის ხმა, რომ ვითომ ლიაოიანს ახლოს ბრძოლა ყოფილიყოს. ალბად ხუნხუზებთან თუ იყო მცირედი შებრძოლება.—ხაიჩენს მაშველი ჯარი გაიგზავნა ლიაოიანიდან.

**ტოკიო.** იაპონელებმა დაიწყეს გადატანა ციხის ზარბაზნებისა პორტარტურის დასაშენად.

**ლონდონი.** («რეიტ. სააგენტო»). საზოგადოებათა პალატა. იკითხეს 1903 წლის 4 ნოემბრიდან იყო რამ ლაპარაკი თუ არა რუსეთისა და ბრიტანიის მთავრობას შორის თიბეთის საქმეებზედაო. პერსიმ სთქვა პასუხად, რომ ორისავე მთავრობის წარმომადგენელთა შორის მომხდარს ლაპარაკს კერძო, საიდუმლო ხასიათი ჰქონდა და ამიტომ არ შეიძლება მოხსენდეს მისი შინაარსი პალატასაო.

**სოფია.** (პოზიციის მომხრეთაგან). სალონიკში მოაწერეს ხელი პირ-შეკრულობას მაკედონიის ჟანდარმერიის უცხო ქვეყნების ოფიცრების ჯამაგირის შესახებ.—რუმინიის ელჩი სტამბოლში ლაგოვარი უეცრად წავიდა ბუქარესტს, რათა შეატყობინოს, რა ყოფაშია საქმე პატრიარქატში ატეხილ დავი და რაბისა, რომელიც გააწვევა რუმინიის მიტროპოლიტად ნამყოფ გენნადის მოსვლამ. აქ მყოფ მაკედონელთა შორის უარ-ჰყოფენ იმ ხმას, ოსმალთაგან გავრცელებულს, ვითომ აჯანყების მეთაურნი აბრკოლებენ რეფორმების შემოღების საქმეს.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

### პეტერბურგის ბირჟა

27 აპრილი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,60 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,67½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | — |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 88¼ წვ. გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 355 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 285 წვრ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა | 260 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 89⅜ |
| 4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |


# განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
## სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



ამერიკის
## ავტომობილები
ბენზინით მოძრავი
## ველოსიპედები
ბენზინის მატორებით.
**Акц. О-во „ЭНФИЛЬД“**
**МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.**
СПБ. Морская, № 30.
(10—6—3).

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

ოთხშაბათს, 5 მაისს 1904 წელს,
ქალთა 1 გიმნაზიის სადგომში (შესავალი კარები ბარონის ქუჩიდამ) საღამოს 8 საათზედ **შესდგება**
პირველი კრება დამწესებელთა «ტფილისის საზოგადოებისა პეტერბურგის სამედიცინო ინსტიტუტში და უმაღლეს ქალთა კურსებზედ მსმენელ ქალთა დახმარებისათვის, რომელთაც დამთავრებული აქვთ კურსი კავკასიის სამოსწავლო ოლქის გიმნაზიებში».

## განსახილველი საგნები:

1) წაკითხვა დამტკიცებულ წესდებისა.
2) განსაზღვრა ყოველ წლიურ საწევრო შესატან ფულის რაოდენობისა.
3) განსაზღვრა მაქსიმალურ თანხისა, რომელიც შეიძლება დარჩეს ხაზინადრის ხელთ.
4) განსაზღვრა უდიდეს შემწეობის რაოდენობისა, რომელიც იძლევა თავმჯდომარის უფლებით.
5) განსაზღვრა გამგეობის წევრთა რიცხვისა.
6) ამორჩევა თავმჯდომარისა, ხაზინადრისა და იმათ კანდიდატებისა.
7) ამორჩევა სარევიზიო კომისიის წევრებისა.
8) არჩევა საზოგადოების ნამდვილ წევრებისა.

დამაწესებელნი პატივის ცემით სთხოვენ ყველა იმათ, ვისაც-კი აინტერესებს საგანი ქალთა უმაღლეს განათლების, მობრძანდნენ ამ კრებაზედ.
(3—უ—1)



როიალები პიანინო



ფას-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.
პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრავებისა.
**ბ. მ. მირიმანიანისა.**
**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**Б. М. МИРИМАНІАНЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—23)

